

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს პრიორიტეტები

დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ 2008 წლის 30 მაისს

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16, მე-20, 21-ე, 30-ე და 33-ე მუხლებიდან გამომდინარე მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების საფუძველზე საზოგადოებას საჯარო განხილვისათვის წარუდგენს პრიორიტეტების პროექტს.

პრიორიტეტების წინამდებარე პროექტი წარმოდგენილია ორ თავად: პროგრამულ პრიორიტეტებად და ბიუჯეტის ხედვად. თითოეული თავი შეიცავს ძირითად და სარეკომენდაციო ნაწილს.

რეკომენდაციები შესასრულებლად სავალდებულო არაა და მათი ადრესატი ორგანიზაციის მომავალი გენერალური დირექტორი და მმართველობაა.

რეკომენდაციები აზუსტებს საბჭოს ხედვას და გენერალურ დირექტორს დაეხმარება ორგანიზაციის პრობლემების გაცნობიერებასა და სტრატეგიულ დაგეგმვაში.

1. საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტები

1.1. ძირითადი ნაწილი

1.1.2. საქართველოში ადამიანის უფლებების (მათ შორის კერძო საკუთრების, სოციალური გარანტიების და სხვა) მდგომარეობის ამსახველი, სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლო ხელისუფლებაზე საზოგადოებრივი მონიტორინგის შინაარსის მქონე პუბლიცისტური და საგამომიებო პროგრამები

1.1.3. სახელმწიფოში მიმდინარე ეკონომიკური, სოციალური, სამართლებრივი, საგანმანათლებლო და ჯანდაცვის რეფორმების არსის ამსახველი პროგრამები.

1.1.4. ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის ხელშემწყობი პროგრამები.

1.1.5. შემეცნებითი და პუბლიცისტური პროგრამები საბაზრო ეკონომიკის საფუძვლების შესახებ.

1.1.6. კინოზე, თეატრზე, მუსიკაზე და ხელოვნების სხვა დარგებზე მომზადებული პროგრამების ხვედრითი წილის ზრდა.

1.1.7. 2008 წლის 5 იანვრის პლებისციტის შედეგების გათვალისწინებით მკვეთრად გაიზარდოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამებში NATO-სა და ევროსტრუქტურების საქმიანობის შესახებ მსჯელობა მოსახლეობის უკეთ ინფორმირების მიზნით. მომზადდეს შესაბამისი პროგრამები საქართველოში არსებული ეთნიკური უმცირესობების ენებზე.

1.1.8. საქართველოს უახლოესი მეზობელი და პარტნიორი სახელმწიფოების საზოგადოებრივი, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ამსახველი პროგრამები. მომზადდეს შესაბამისი პროგრამები საქართველოში არსებული ეთნიკური უმცირესობების ენებზე.

1.1.9. სპეციალური პროგრამები დიასპორებისათვის.

1.1.10. პროგრამები საქართველოში არსებული კონფლიქტების ანალიზით.

1.1.11. რელიგიების, მათი ისტორიის, როგორც კულტურული ფენომენის ამსახველი და რელიგიური შემწყნარებლობის დამკვიდრება-გადლიერებისაკენ მიმართული პროგრამები.

1.1.12. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების ინტერესების გამომხატველ და მათთვის დახმარების პრაქტიკული დანიშნულების მქონე პროგრამებს.

1.1.13. საქართველოს გეოპოლიტიკური, ისტორიული და გეოგრაფიული თავისებურებების ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან და ფასეულობებთან კავშირის ამსახველი პროგრამები. ისტორიული პუბლიცისტიკა.

1.1.14. რიგითი ადამიანის, მისი პრობლემების ამსახველი პროგრამები

1.1.15. პროგრამები საქართველოს კულტურულ საგანძურზე საარქივო მასალების გამოყენებით.

1.1.16. სრულად განხორციელდეს "მაუწყებლობის შესახებ" კანონის მე-16 მუხლის ა), ბ), გ), დ), ე) და ვ) პუნქტების მოთხოვნები, რაც გულისხმობს: პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობას, სამართლიანობასა და მიუკერძოებლობას; სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლებას; აუდიტორიის დროულ და ყოველმხრივი ინფორმირებას საქართველოში, მის რეგიონებსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ; საუკეთესო დროს ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების, ხოლო საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას - აგრეთვე წინასაარჩევნო დებატების გადაცემას; პროგრამებში საკუთარი აზრის გადაცემისგან თავის შეკავებას და საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმის ასახვას;

1.2. სარეკომენდაციო ნაწილი

1.2.1. პროგრამული პრიორიტეტებით განსაზღვრული ყველა საკითხის წარმოჩენა საინფორმაციო, გასართობ და შემეცნებით-საგანმანათლებლო ფორმით.

1.2.2. საეთერო დროში ახალი ამბებისათვის გამოყოფილი დროის ხვედრითი წილის შემცირება პროგრამული მაუწყებლობის სასარგებლოდ

1.2.3. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს ინფორმაციაზე რეგიონებიდან: გაძლიერდეს რეგიონული ბიუროების მუშაობა, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამებსა და „თოქშოუებში“ გაიზარდოს რეგიონებზე, რეგიონების წარმომადგენელთა მონაწილეობით და რეგიონებიდან გადმოცემული გადაცემებისა და სიუჟეტების ხვედრითი წილი. გათვალისწინებულ იქნას ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მოსახლეობის ინტერესები.

1.2.4. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამებში აქცენტირება დებატების ფორმაზე.

1.2.5. პროგრამირებაში აქცენტის მაქსიმალურად გამახვილება შემეცნებით კომპონენტზე.

1.2.6. მაუწყებლობაში "საჰნის ოპერების" ჩანაცვლება მხატვრული და შემეცნებითი სატელევიზიო ფილმებით ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ზრდის ტენდენციით.

1.2.7. კონკრეტული ადამიანების საქმიანობის ამსახველი "რეალითი-შოუ"

1.2.8. ეროტიკის, ძალადობისა და სისასტიკის ამსახველი ეპიზოდების გადაცემის შეზღუდვა.

1.2.9. ანონსირებისა და, ზოგადად, თვითრეკლამის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება.

2. საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის ხედვა

2.1. ძირითადი ნაწილი

2.1.1. საბიუჯეტო სახსრებიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი სატელევიზიო და პირველი რადიოარხის გავრცელების მაქსიმალური უზრუნველყოფის მიზნით სახსრების დაუყოვნებლივ გამოყოფა.

2.1.2. საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიოს ცენტრალური სააპარატოსა და სამაუწყებლო სტუდიების დაუყოვნებლივი აღჭურვა თანამედროვე აპარატურით

2.1.3. საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელე და რადიოარქივების ახალ, ციფრულ მატარებლებზე გადატანის პროექტის გაგრძელება და დასრულება 2008-2009 წლებში, "მაუწყებლობის შესახებ" კანონის მე-19 მუხლის მოთხოვნების განუხრელი შესრულების მიზნით.

2.1.4. ორგანიზაციის ბიუჯეტში ყოველწლიურად თანხის გამოყოფა თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

2.1.5. საზოგადოებრივი სახსრების ხარჯვის ეფექტურობაზე სრულფასოვანი მონიტორინგის განსახორციელებლად ორგანიზაციის ბიუჯეტში ყოველწლიურად თანხის გამოყოფა სამეურვეო საბჭოსათვის დამოუკიდებელი, გარე საექსპერტო მომსახურების გასაწევად, რაც გულისხმობს: ორგანიზაციის აუდიტორული შემოწმებისათვის გასაწევ ხარჯებს ("მაუწყებლობის შესახებ" კანონის 34-ე მუხლი), საზოგადოებრივი საბჭოს დაკვეთით საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ხარჯებს, საჭიროების შემთხვევაში იურიდიული ექსპერტიზის ხარჯებს, მაუწყებლის მიერ მსხვილი ფინანსური პროექტების განხორციელებისას (მშენებლობა, ახალი ტექნიკის შეძენა და სხვა) დამოუკიდებელი საექსპერტო მომსახურების ხარჯებს.

2.2. სარეკომენდაციო ნაწილი

2.2.1. ორგანიზაციის მენეჯმენტმა სასურველია მიმდინარე წლის 1 ივლისამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგინოს ორგანიზაციის მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსების განვითარების არანაკლებ 3 წლიანი, ინდიკატორული გეგმა.

2.2.2. გეგმა აუცილებლად უნდა ასახავდეს ტექნიკური, განსაკუთრებით სამაუწყებლო ტექნიკური ბაზის განვითარების პერპექტივას, შესაბამისი დასაბუთებით

2.2.3. გეგმა უნდა ასახავდეს ფინანსური რესურსების განვითარების, შემოსავლების ზრდის დასაბუთებას. ასევე ყურადღება უნდა გამახვილდეს ხარჯვით ნაწილზე, განსაკუთრებით ორგანიზაციის გარე დავალიანებების სტრუქტურაზე, მათი შემცირების პერსპექტივით.